საკუთრების უფლების ჩამოყალიბების ისტორიულ-სამართლებრივი წანამძღვრები

სალომე პირველი
სტუ-ს დოქტორანტი

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლასთან დაკავშირებით სერიოზული ცვლილებები ხდება საკუთრების ურთიერთობათა სამართლებრივ რეგულირებაში. ამასთან, იცვლება არა მარტო საკუთრების ფორმები და მეთოდები, არამედ საკუთრების სუბიექტური უფლების თვითონ შინაარსიც. სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ და კომპლექსურად განიხილება საკუთრებისა და საკუთრების უფლების ზოგადი ცნებები, რომლებიც კანონმდებლებისა და სამართალმცოდნეების აქტიური განსჯის საკითხად რჩება.

აღსანიშნავია, რომ საკუთრების უფლების იურიდიული კონსტრუქცია დიდხანს რჩებოდა ხელშეუხებელი და კანონმდებლობაში ფორმულირებული იყო, როგორც მესაკუთრის მიერ თავისი კუთვნილი ქონების ფლობის, გამოყენებისა და განკარგვის უფლება.[1]

როგორც ცნობილია მოქალაქეები, იურიდიული პირები და ხშირ შემთხვევებში სახელმწიფოც მონაწილეობენ ქონებრივ თუ პირად არაქონებრივ ურთიერთობებში, რომლებსაც საფუძველს უქმნის კერძო საკუთრების უფლება. ესაა, პირველ რიგში, უფლება საკუთრებისა წარმოების საშუალებებზე და, გარდა ამისა, კიდევ სხვა მრავალრიცხოვანი სანივთო უფლებები. დასავლეთის ბევრ ქვეყანაში სანივთო სამართალი სამოქალაქო კოდექსების დამოუკიდებელ განყოფილებებადაა გამოყოფილი. მაგალითად, გფრ-ში მას სწორედ ასე ჰქვია: „Sachenrecht", რაც სანივთო სამართალს ნიშნავს. თუმცა, იმ ქვეყნებშიც კი, სადაც სამოქალაქო სამართალი კოდიფიცირებული არაა, ვთქვათ, აშშ-ს ზოგიერთ შტატში ან დიდ ბრიტანეთში, სანივთო სამართალი სამოქალაქო სამართლის

[1] Александрина М. А. Содержание права собственности.-law.edu.ru/book/book.asp?book/-D=1237988

დამოუკიდებელ სახეობადაა გამოყოფილი.

საკუთრება, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი ყოველთვის ასახავს საკუთრების ისტორიულად განსაზღვრულ ეკონომიკურ ურთიერთობას. საკუთრების სამართლებრივ ურთიერთობებს, ეკონომიკური ურთიერთობებისაგან განსხვავებით, ადამიანის ნება აყალიბებს და ისინი ამ ურთიერთობათა მონაწილეების შეგნებიდან და ნებიდან აღმოცენდებიან.

კერძო საკუთრების რეგლამენტაციას ახდენს სამოქალაქო კოდექსები, და სხვა კანონები, რომლებსაც სასამართლოების პრაქტიკა აყალიბებს.

საკუთრების უფლებას ნივთზე სრული ბატონობის ფორმად მიიჩნევენ იაპონელი კანონმდებლებიც. საკუთრების უფლება, მათი აზრით, „გულისხმობს ნივთის გამოყენებას, ნაყოფის გამოყენებას და ნივთის განკარგვას საკუთარი შეხედულებისამებრ და სხვა უფლებებისგან განსხვავებით მისი შინაარსი შეზღუდული არაა რაიმე ცალკეული უფლებამოსილებით" (იაპონიის სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 206).[2]

„ნივთზე სრულ იურიდიულ ძალაუფლებას" უწოდებს კერძო საკუთრების უფლებას მ. ალბალადეხო.[3]

საკუთრების უფლების უძველესი წესი იყო არავის კუთვნილი ნივთის დაუფლება, მისი მითვისება, უპატრონო ქონების დასაკუთრება. ჯერ კიდევ რომის სამართალი იცნობდა პრინციპს Res nullius cedit primo occupanti - არავის ქონება იმას ეკუთვნის, ვინც პირველად დაეპატრონა მას.

აშკარაა, რომ ამჟამად ამ სიკეთის დაპატრონება სტიქიურად კი არ ხდება, არამედ სათანადო კანონმდებლობითაა რეგლამენტირებული.

დაპატრონებისაგან განსხვავებულია დაკარგული ნივთის მითვისება. იაპონური სამართლის მიხედვით, დაკარგული ნივთის მიმთვისებელი პირი მოვალეა პოლიციაში განაცხადოს ამის შესახებ. დაკარგული ნივთის პატრონის გამოვლენის შემთხვევაში დაკარგული ნივთი მას უნდა დაუბრუნდეს.

აშშ-ში დადგენილია, რომ დაკარგული ქონება მისი მპოვნელის საკუთრება ხდება ყველა პირის მიმართ, გარდა თავდაპირველი მესაკუთრისა.[4]

---

[2] Вагацума С., Ариидзуми Т. Гражданское право Японии. М., 1983. с.с. 163, 178.
[3] Albaladejo M. Compendio de Derecho Civil. Barcelona, 1983, p. 316
[4] Лакс Г., Гражданское право США. М., 1961, стр.469.

გფრ-ის კანონმდებლობით (სჯულდების პარაგ. 984), ისე დიდხანს დაკარგული ნივთის პოვნის შემთხვევაში, რომ მისი პატრონის დადგენა უკვე შეუძლებელია, საკუთრების უფლებას თანაბრად იძენენ განძის მპოვნელი და იმ ნივთის მესაკუთრე, რომელშიც განძი იყო ნაპოვნი.

პრაქტიკაში ძალიან ფართოდაა გავრცელებული საკუთრების უფლების შეძენა მისი მატების საფუძველზე. „მატება" სიტყვა-სიტყვით ნიშნავს რაიმეს შემოერთებას, ქონების ღირებულების გადიდებას შრომის წყალობით ან სხვა ქონებასთან შეერთებით. მატების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ნივთებს შორის ურთიერთკავშირის ხასიათს, მათ დაყოფა-არდაყოფადობას, მთავარი ნივთისა და მისი საკუთვნებელის თანაფარდობას.

საკუთრების უფლების შეძენის საინტერესო კონსტრუქციას გვთავაზობს საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი. საგნების მიერთების, შერევისა და გადამუშავების შესახებ ნორმებთან ერთად, რომლებიც სხვა ქვეყნების კანონმდებლობის ანალოგიურია, მიერთების უფლება ნივთის მიერ წარმოებული ნაყოფისა და შემოსავლების ბედსაც განსაზღვრავს, ანუ რეგლამენტაციას უკეთებს საკუთრების უფლების შეძენის იმ თავდაპირველ საფუძველს, რომელსაც სხვა ქვეყნების კანონმდებლობასა და დოქტრინაში დამოუკიდებელ ხერხად განიხილავენ ხოლმე. საფრანგეთისა და გფრ-ის კანონმდებლობები ნაყოფსა და შემოსავლებს უწოდებს მიწის, მცენარეებისა და ცხოველების ბუნებრივ ნაყოფებს, აგრეთვე ნივთების მიერ მოტანილ შემოსავლებს მათი სამეურნეო პროცესში გამოყენების (მაგალითად, იჯარით გაცემის) შედეგად.

ხანდაზმულობის მიხედვით უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლის აღიარებისთვის ინგლისში დადგენილია 12 წელი, გერმანიაში კი ეს მხოლოდ მოძრავ ქონებაზე შეიძლება და 10 წელს ითვალისწინებს.

დასავლეთის ყველა ქვეყნის კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა შენაძენის ხანდაზმულობას საკუთრების უფლების შეძენის თავდაპირველ საფუძვლად მიიჩნევს. ამ შემთხვევაში საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველია ნივთის ხანგრძლივად ფლობის ფაქტი. ამისთვის ეს ფლობა უნდა იყოს კეთილსინდისიერი, ღია და კანონით დადგენილი ვადის განმავლობაში უწყვეტი.

სხვა მომენტებთან ერთად (მოძრავ და უძრავ ნივთებად ქონების დაყოფის აღდგენა, ორმაგი მფლობელობის შესაძლებლობა და მფლობელობის გატანა საკუთრების უფლებიდან) კიდევ ერთი არსებითი სიახლეა საკუთრების ხანდაზმულობით შეძენის ინსტიტუტის შემოღება, რასაც ძველი ქართული სამართალი ფართოდ იყენებდა, საბჭოთა

ეპოქაში კი იგი უგულვებელყვეს - ხანდაზმულ ქონებას სახელმწიფო საკუთრებად აცხადებდნენ. საკუთრების შეძენის თვალსაზრისით საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ისეთი სიახლეებითაც გამოირჩევა, რასაც ევროპის ბევრი ქვეყანაც კი არ იცნობდა. ამის ნიმუშია მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების ადგილები კოდექსში. ერთიცა და მეორეც ამიერიდან საკუთრების შეძენის სამართლებრივ საშუალებებადაა აღიარებული.

მეცნიერებაში გაბატონებულია ის აზრი, რომ საკუთრების ინსტიტუტი სამოქალაქო საზოგადოების გარდაუვალი ატრიბუტია. სამართლის მთავარი ამოცანა კი ისაა, რომ არეგულიროს სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს ურთიერთობები. იგი განსაზღვრავს სამოქალაქო თავისუფლებისა და სახელმწიფოს ძალუფლების იმ ბალანსს, რომელიც ავტონომიურად არსებობისა და ერთმანეთის გაწონასწორების შესაძლებლობას უქმნის ადამიანთა საქმიანობის ამ ორ მთავარ სფეროს ისე, რომ ერთმანეთის უფლებები არ შელახონ. და რაკი ეს ასეა, საკუთრების ინსტიტუტი სწორედ ის ინსტიტუტია, რომელიც სამართლის ყველა დარგშია წარმოდგენილი. შესაბამისად, საკუთრების ინსტიტუტი საკონსტიტუციო სამართალშიცაა ასახული.

თუმცა, კონსტიტუციონალისტები მას არ მიაკუთვნებენ საკონსტიტუციო სამართლის ინსტიტუტებს და ამჯობინებენ ისაუბრონ საკონსტიტუციო წყობის საფუძვლების ინსტიტუტზე, რომელშიც საკუთრების ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირებაც შედის. არიან სხვებიც, რომლებიც საკუთრების ინსტიტუტს ფუნდამენტურად განიხილავენ საკონსტიტუციო სამართალში.[5] მათი აზრით, რაკი საკუთრების ურთიერთობებს ვხვდებით როგორც წარმოებაში, ისე გაცვლასა და მოხმარებაშიც, უფრო სწორი იქნებოდა გვესაუბრა არა ეკონომიკურ ურთიერთობათა ინსტიტუტზე, არამედ საკუთრების ინსტიტუტზე საკონსტიტუციო სამართალში. საკუთრების ინსტიტუტი ვიწრო გაგებით არის პირის კუთვნილი ქონება, ფართო გაგებით კი იგი უნდა გვესმოდეს როგორც კანონით დარეგულირებული ის სისტემა, რომელიც წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესში ადამიანებს შორის მუდმივად ცვალებად ურთიერთობებს მოიცავს. აღსანიშნავია, რომ ასე გაგებულ საკუთრების ურთიერთობებს საკონსტიტუციო სამართალი არეგულირებს, ვიწროდ გაგებულს კი - სამართლის სხვა დარგები.[6]

---

[5] Гошуляк В. В. Институт собственности в конституционном праве. РФ. – М., РГНФ, 2003, с. 46.

[6] იქვე, გვ. 39.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Александрина М. А. Содержание права собственности.- law.edu.ru/book/book.asp?book/-D=1237988

2. Вагацума С., Ариидзуми Т. Гражданское право Японии. М., 1983. с.с. 163, 178

3. Albaladejo M. Compendio de Derecho Civil. Barcelona, 1983, p. 316.

4. Лакс Г., Гражданское право США. М., 1961,стр.469.

5. Гошуляк В. В. Институт собственности в конституционном праве. РФ. – М., РГНФ, 2003, с. 39,46.

HISTORICAL AND LEGAL PRECONDITIONS FOR ESTABLISHING PROPERTY RIGHTS

SALOME PIRVELI
PhD student of GTU

In the process of transition to market economy serious changes occur in the regulations of property relations. In addition, not only the property types and methods are changing, but the content of subjective property rights as well.

Althoug the idea of property institution being an inevitable attribute of civil society dominates in science, constitutionalists evidently do not to think so and prefer to talk about the foundations of constitutional institutions, which includes the legal regulations of property relations.